

პრაქტიკული სამუშაო თემაზე: “ინტერნეტი და ვირუსებთან ბრძოლა”

1. განსაზღვრეთ თქვენი კომპიუტერის IP მისამართი, ქვექსელის ნილაბი, DNS სერვერის მისამართი, Default Gateway-ის მისამართი. გამოიყენეთ სხვადასხვა ვარიანტები:
 - 1.1. პირველი ვარიანტი:
 - 1.1.1. სასტარტო მენიუდან გამოიძახეთ ფანჯარა Settings;
 - 1.1.2. გადადით ქვედანაყოფში Network & Internet Settings;
 - 1.1.3. გამოსულ Settings ფანჯარაში ვაჭერთ ბრძანებას Change adapter options;
 - 1.1.4. გამოსულ Ethernet ფანჯარაში კავშირის კონტექსტური მენიუდან ვაჭერთ ღილაკს Status;
 - 1.1.5. გამოსულ Ethernet Status ფანჯარაში ვაჭერთ ღილაკს Details;
 - 1.1.6. გადაულეთ ეკრანს სკრინშოტი, შეინახეთ jpg ფორმატში სახელით “Screenshot_1”;
 - 1.2. მეორე ვარიანტი:
 - 1.2.1. ამოცანათა ზოლის მარჯვენა მხარეს მდებარე Internet Access ღილაკზე დაწკაპუნებით გამოსულ მენიუში გადადით ბრძანებაზე Open Network & Internet Settings;
 - 1.2.2. გაიმეორეთ წინამდებარე პუნქტში აღწერილი ოპერაციები;
 - 1.3. მესამე ვარიანტი:
 - 1.3.1. სასტარტო მენიუს საძიებო ველში აკრიფეთ “Command Prompt” (პირველი 2-3 ასო საკმარისია);
 - 1.3.2. მოძებნილი პროგრამების სიიდან გადადით ბრძანებაზე “Command Prompt”;
 - 1.3.3. გაიხსნება Command.com საბრძანებო რედაქტორის ფანჯარა. შეიყვანეთ ბრძანება ipconfig. დააჭირეთ Enter-ს;
 - 1.3.4. გამოსულ ფანჯარაში წარმოდგენილი იქნება თქვენი კომპიუტერის ინტერნეტ მისამართები;
 - 1.3.5. გადაულეთ ეკრანს სკრინშოტი, შეინახეთ jpg ფორმატში სახელით “Screenshot_2”;
2. განსაზღვრეთ თქვენი ინტერნეტ კავშირის სისწრაფე - გამოიყენეთ ვებსაიტი <http://whatismyip.com/> :
 - 2.1. გადადით ბრძანებაზე Internet Speed Test;
 - 2.2. გამოსულ ფანჯარაში დააჭირეთ ღილაკს Start speed test - ვებსაიტზე აისახება ინფორმაციის ჩამოტვირთვის და ატვირთვის სიჩქარეები;
 - 2.3. გადაულეთ ეკრანს სკრინშოტი, შეინახეთ jpg ფორმატში სახელით “Screenshot_3”;

3. განსაზღვრეთ ვებსაიტების www.google.com და www.yahoo.com ვებმისამართები და ვებსერვერების ადგილმდებარეობა - გამოიყენეთ ვებსაიტი <https://www.iplocation.net/> . მიღებული ინფორმაცია შეინახეთ jpg ფორმატში ფაილებში “Screenshot_4” და “Screenshot_5”;
4. გადადით ვებსაიტზე www.geosport.cl.biz . ვებგვერდის კონტექსტური მენიუდან View page source ბრძანებით გამოიტანეთ ვებგვერდის ტექსტი.
5. გადაუღეთ ეკრანს სკრინშოტი, გააწითლეთ ამ დავალების ლინკი და შეინახეთ სურათი jpg ფორმატში სახელით “Screenshot_6”;
6. Windows Defender-ის საშუალებით განახორციელეთ კომპიუტერის სწრაფი სკანირება. მიღებულ შედეგებს გადაუღეთ სკრინშოტი, შეინახეთ jpg ფორმატში სახელით “Screenshot_7”;
7. შეკუმშეთ შენახული სკრინშოტების ფაილები zip არქივში, დაარქვით არქივს თქვენი სახელი და გვარი და შეინახეთ zip ფორმატში;
8. გადააგზავნეთ არქივი მისამართზე kompiuteruliteqnologiebi@gmail.com. გაგზავნილ წერილში მიუთითეთ დავალების ნომერი.